## პრეს-რელიზი

### თბილისის გამოცდილებითი ტურიზმის ჰაბის პრეზენტაცია

2022 წლის 31 იანვარს, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა ***GACC*** თბილისის გამოცდილებითი ტურიზმის ჰაბის - ***TETH*** ონლაინ პრეზენტაცია გამართა. ღონისძიება პროექტის ***PRO EXTOUR:*** „კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში" ფარგლებში ჩატარდა. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის შავი ზღვის აუზის პროგრამის ***(BSB Program***) ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტის ***(ENI)*** და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ: ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, და ბულგარეთის კულინარიული ხელოვნებისა და სტუმარ-მასპინძლობის ასოციაცია.

პროექტის ***PRO EXTOUR*** გათვალისწინებით, პარტნიორი ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ ჩამოყალიბდა გამოცდილებითი ტურიზმის ჰაბების ქსელი. ჰაბების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კვლევა/ექსპერიმენტირება, გამოცდილებითი ტურიზმის რუკის შემუშავება და გაცნობა, ქსელური მუშაობა, პრაქტიკის გაზიარება, ტრენინგების ორგანიზება და მენტორობა. ჰაბები უზრუნველყოფილია ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც ასევე საჭიროა პროექტის განმავლობაში შექმნილი ბიბლიოთეკისა და ონლაინ საცავის მართვისთვის.

ჰაბის პრეზენტაციას დაესწრნენ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებმაც განიხილეს ქვეყანაში კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა მაკა დვალიშვილმა, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა. ტურიზმის ექსპერტმა ლელა ხარტიშვილმა დამსწრეებს ***PRO EXTOUR*** **1145**-ის ფარგლებში შესრულებული საქმიანობები გააცნო და საქართველოში მემკვიდრეობაზე და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებასა და მის სასწავლო პროგრამებში ინტეგრირების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ტურიზმის ჰაბის მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დეტალურად ისაუბრა ხელოვნების ცენტრის ტურიზმის მენეჯერმა ნანა ქართველიშვილმა.

შეხვედრა ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა, დისკუსია გაიმართა გამოცდილებითი ტურიზმის ტერმინოლოგიის თემაზე. მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობასა და სტუდენტური პრაქტიკის ხელშეწყობაზე.